# შირაქი
SHIRAKI
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№12 (10.068)
15—22 აპრილი 2023 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


# ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!



„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, და საფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი!“ - გილოცავთ უფლის ბრწყინვალე აღდგომას!

ორი ათასწლეულია, რაც უფალმა კაცობრიობას თავისი განკაცებული ძის სახით უდიდესი სასწაული მოუვლინა, რითაც ადამის შთამომავლებს პირველქმნილი ცოდვის გამოსყიდვის საშუალება მოგვეცა. როგორი განსაცდელიც არ უნდა მოგვევლინოს, ეს რწმენა ყოველთვის გულით უნდა ვატაროთ და არასოდეს დავკარგოთ, ჩვენს წილ გოლგოთაზე კი წამოდგომაში თავად ძე ღვთისა დაგვეხმარება, ზოგჯერ უხილავად, ზოგჯერ კი ხილულადაც.

განა მოწყალების ნიშანი არ არის ყოველწლიურად აღსრულებული ხილული სასწაული-უფლის საფლავზე აღმართული კუვუკლიადან მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა? ასევე განა მოწყალების ნიშანი არ არის, რომ ჩვენმა პატარა სამშობლომ ეკლიან გზაზე, მრავალ არაკეთილმოსურნეთა ქიშპის მიუხედავად, შეინარჩუნა სამშობლოც, ენაც და ქრისტეს რჯულიც? ისტორიის ქარტეხილებში რამდენი ერი და ენა განადგურდა, საქართველო კი კვლავ ამაყად აგრძელებს სვლას.

ჩემო ძვირფასებო, გისურვებთ, რომ არასოდეს მოგაკლდეთ უფლის რწმენა და წყალობა, სიკეთე გქონოდეთ. ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე.

ნუგზარ პაპიაშვილი,
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**



ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად აღდგა! უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, აღდგომას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

მკვდრეთით აღმდგარმა მაცხოვარმა თავისი მოწამეობრივი სიკვდილით და შემდეგ მკვდრეთით აღდგომით ადამის მოდგმას კვლავ გაუღო სამოთხის კარი და ჩაუნერგა იმედი, რომ სიკვდილს სიცოცხლე დაამარცხებს, ხოლო სიძულვილსა და ბოროტებას სიკეთე და სიყვარული. აღდგომა ხომ განახლების, სიცოცხლის, იმედის და სულიერი ამაღლების დღესასწაულია. სწორედ ამიტომაა, ის, თავისი სიდიადითა და მნიშვნელობით ქრისტიანებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა.

წარმოიდგინეთ, ყველას გულში სიძულვილის, შურისა და ღვარძლის ნაცვლად ღვთის სიყვარული რომ ენთოს, რა მარტივი იქნებოდა ამ დალოცვილ დედამიწაზე ცხოვრება და ასევე რა მარტივი იქნებოდა უფლისაკენ მიმავალი გზა. მიუხედავად ამისა, თითოეული ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა, რომ ჩვენი ჯვარი ღირსეულად ვატაროთ და უფალი აუცილებლად შეგვეწევა.

გისურვებთ, რომ რომ ჩვენს გულებში მუდამ იყოს ჯვარცმული და შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტეს სიყვარული, ასევე გისურვებთ, რომ ამ სიყვარულით ვაშენოთ ჩვენი ცხოვრება და სამშობლო. მშვიდობა ჰქონოდეს ჩვენს პატარა, ღვთისმშობლის წილხვედრ სამშობლოს და სრულიად სამყაროს. მრავალ ბედნიერ აღდგომას დაესწარით.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი,**
**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

# 9 აპრილი — დღე სიამაყის, დღე ტრაგედიის!

***1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან 34 წელი გავიდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროში სამგლოვიარო მსვლელობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის საკათედრო ტაძრიდან დაიწყო და დედოფლისწყაროს 9 აპრილის მემორიალთან დასრულდა. 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ნიკოლოზმა (ლომსაძე) გადაიხადა.***

9 აპრილის ტრაგედია გაიხსენეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა და საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ბახუტაშვილმა.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი:** „9 აპრილის მნიშვნელობა არის ძალიან დიდი. მას ორმაგი დატვირთვა აქვს-აქვს დიდი ტკივილი და ძალიან დიდი სიხარული. მამა ნიკოლოზმა სწორად აღნიშნა-1989 წლის 9 აპრილს გარდატეხა მოხდა და რუსთაველზე ჩვენმა გმირებმა ბოროტების იმპერიაში ისეთი ბზარი შეიტანეს, რომელმაც ორ წელიწადში საბჭოთა კავშირის ნგრევა გამოიწვია. ალბათ სიმბოლურია, რომ ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. მას შემდეგ ყოველ წელს მოვდივართ ამ მემორიალთან- ხან მცირე რაოდენობით, ხან უფრო მეტნი. ახლა მიხარია, რომ ბევრნი ვართ. ყოველ წელიწადს ჩვენი ქვეყნის წინაშე რაღაც გამოწვევა არსებობს. დღესაც საკმაოდ რთული პერიოდია. როდესაც ღირებულებების აღრევა ხდება, ვიღაც აუფასურებს 9 აპრილის გმირების ღვაწლს, ვიღაც აუფასურებს ქვეყნის დამოუკიდებლობას - ერთ რამეში ვრწმუნდებით და თქვენც დამეთანხმებით რომ, დამოუკიდებლობისათვის, ქვეყნის ძლიერებისთვისა და თვითმყოფადობისთვის ბრძოლა ყოველთვის იყო, არის და იქნება პრიორიტეტული საქართველოში. მე მიხარია, რომ ყოველწლიურად 9 აპრილის მემორიალთან მომავალი თაობის სულ უფრო მეტ წარმომადგენელს ვხედავ. ეს ბავშვები, რომლებიც დაბადებულებიც არ იყვნენ 9 აპრილს, ყოველწლიურად, მემორიალთან რომ მოვლენ და პატივს მიაგებენ ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნას, გაიაზრებენ, რომ 9 აპრილის გმირებმა ჩვენს დღევანდელ დამოუკიდებლობას ჩაუყარეს საფუძველი. და ის რომ, ჩვენ დამოუკიდებელი საქართველოს შვილები ვართ, მათი მონაპოვარია. ასეთი ადამიანების დაღვრილ სისხლზე დგას საქართველოს გმირული ისტორიული წარსული. ამიტომ მჯერა, რომ ჩვენი მომავალი თაობა, მათი გმირობის მაგალითებზე აღზრდილები, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტი იყოს ხელშეუხებელი და დაცული. საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყანა იმპერიების ბატონობისგან იმან გადაარჩინა, რომ ქართველი კაცისთვის ღმერთი და სამშობლო ერთი იყო. იბრძოდა, შრომობდა და ლოცულობდა კიდეც და ამით ჩვენ დღევანდლამდე მოვედით. 70-წლიანი ულმერთობაც გადავიტანეთ, რომელმაც ძალიან დაგვაზარალა და დაღი დაგვასვა, მაგრამ ვერ დაგვაკარგინა ღმერთის რწმენა, მომავლისა და დამოუკიდებლობის იმედი.





დღეს ჩვენ იმით ვართ ამაყები, რომ დამოუკიდებელი საქართველოს შვილები ვართ. მადლობა 9 აპრილის გმირებს! მადლობა იმ თავისუფლებისთვის, რომელიც თავიანთი თავგანწირვით მოგვიტანეს!“

**ნუგზარ პაპიაშვილი:** „9 აპრილის მოვლენების დროს მე თბილისის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი ვიყავი. მთელ ქალაქში ისეთი განწყობა იყო, რომ მოსწავლეებს კლასებში ვერ ვაკავებდით. ყველა მიტინგზე მიდიოდა. 8 აპრილს ჰაერში იგრძნობოდა დარბევის სუნი, უკვე თბილისში იყვნენ ნიჩაბალესილი ჯარისკაცები და საბრძოლო ტექნიკა. ჩემი მისია იყო, რომ ეს ბავშვები საღამოს სახლებში, მშობლებთან მშვიდობით მიმეყვანა. იმ ღამეს რაც მოხდა, ყველამ იცის. დაღუპულთა უმრავლესობას ქალბატონები შეადგენდნენ, რომლებიც არ შეუშინდნენ რუსულ ტანკებს, სამხედროებს და შეეგებნენ მამულისათვის სიკვდილს, რადგან ჯიუტად სჯეროდათ, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გახდებოდა სუვერენული სახელმწიფო. დიდება და მარადიული ხსოვნა მათ უკვდავ სულებს!“

**მიხეილ ბახუტაშვილი**: „მაშინ მე 21 წლის გახლდით, მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი და ყველაფერმა ჩვენს თვალწინ ჩაიარა. მე არ დამავიწყდება შემდგომში ხალიჩად გაფენილი უამრავი ტიტა რუსთაველის პროსპექტზე, ტირილისგან თვალებდასიებული ახალგაზრდები სანთლებით ხელში... მოკლედ, ეს იყო დიდი ტკივილიც და, მოგვიანებით, დიდი სიამაყეც. შემთხვევითი არ იყო, რომ ორი წლის შემდეგ, 9 აპრილს ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ჩვენ, სტუდენტებმა, საკუთარი დეკლარაციაც კი გავაკეთეთ და ხელი მოვაწერეთ. მე განსაკუთრებით მივმართავ ახალგაზრდობას, მათ, ვინც ვერ მოესწრო და მხოლოდ გადმოცემით იცის 9 აპრილის ტრაგედია. იმ პერიოდიდან დაიწყო ქართველი ერის სხვანაირი გამოღვიძება. ორი წლის მანძილზე ასეთი შეკრული და გაერთიანებული ერი მე აღარ მინახავს. მაგრამ იყო კიდევ ერთი მომენტი-ამ დღეს დაიღუპნენ 16 წლის ახალგაზრდები-თამრიკო ჭოველიძე და ეკა ბეჟანიშვილი, ორი უმშვენიერესი და უნიჭიერესი გოგონა, რომლებიც ბევრს გააკეთებდნენ საქართველოსთვის, მათთვის სიცოცხლე რომ არ მოესპო რუსულ ნიჩაბს. ამიტომ მოგმართავთ, ჩემო ახალგაზრდებო, გამოიყენეთ ის მშვიდობა, რომელიც დღეს ჩვენი მთავრობის მეთაურის, ირაკლი ღარიბაშვილის გარჯითა და დამსახურებით გაქვთ. ირგვლივ ყველგან საშინელი დაძაბულობაა და ჩვენი ქვეყანა კი მშვიდობის კუნძულად იქცა. გამოიყენეთ ეს სიტუაცია, ისწავლეთ და აშენეთ ჩვენი ულამაზესი საქართველო! არ გვაქვს უფლება, ოდესმე დავივიწყოთ იმ გმირების ღვაწლი და სახელები, რომლებიც ამ დღეს დაიღუპნენ. ნათელი მათ ხსოვნას. მადლობა მათ ამ გმირობისთვის, მადლობა მათ თავისუფლებისთვის!“

***მემორიალთან 9 აპრილის გმირებს პატივი მიაგეს ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა თავიანთი შემოქმედებით.***

**ინგა შიოლაშვილი**

# ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

***დედოფლისწყაროში ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში გრძელდება.***

პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 4,823,356 ლარს შეადგენს.კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილი მიმდინარე სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნენ. პროექტი ითვალისწინებს ძეგლამდე მისასვლელი გზისა და გადასახედის მოწყობას, ასევე მოწყობა ტურისტული საფეხმავლო ბილიკები, საპარკინგე და საპიკნიკე ადგილები. ისტორიული ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი განახლებული ტურისტული ინფრასტრუქტურით მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორთა ნაკადს დედოფლისწყაროს მიმართულებით, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე დადებითად აისახება.

* * *



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში, ახალი მინი სპორტული მოედანი და ბავშვთა გასართობი სივრცე მოეწყო.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ პაპიაშვილმა სოფელ ქვემო ქედში, ახალი სპორტული მოედანი მოინახულეს და ადგილობრივ ახალგაზრდებს საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცეს. სპორტული მოედნისა და ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მისმა ჯამურმა ღირებულებამ 116 761 ლარი შეადგინა.



***

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯში და ჭოეთის დასახლებაში, გზის ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, გივი მეტრეველი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი მიმდინარე სამუშაოს ადგილზე გაეცნენ. სოფელ ჭოეთში მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 1 442 995 ლარია, ხოლო სოფელ ხორნაბუჯში ჩოლოყაშვილის და დუმბაძის ქუჩების, ასევე, საბავშვო ბაღთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწყობა ჯამურად - 419 776 ლარს შეადგენს. საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

# დედოფლისწყაროს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავება დაიწყო

***მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენაზე მუშაობა დაიწყო.***

**რა არის დედოფლისწყაროს მუნიცი პალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი?**

ეს არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარ მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი უნდა შეიმუშავოს ადგილობრივი თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც სვოტ ანალიზის საფუძველზე უნდა გამოყოს პრიორიტეტები და შეადგინოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი.

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა უკვე შედგა, სადაც ისაუბრეს დოკუმენტის მნიშვნელობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე.

**გელა სამუკაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი:** „მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან ის შემდგომი 4-5 წლის განმავლობაში განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს. ამიტომ, გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს დედოფლისწყაროს ყველა სფეროს წარმომადგენელი, რათა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესები სრულად მოიცვას.

სამუშაო ჯგუფის შექმნისა და სტრატეგიული გეგმის მიზანი სწორედ ისაა, რომ არ მოხდეს მუნიციპალიტეტის განვითარება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ ყველა სფეროს აზრი იყოს გათვალისწინებული და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოებში დასაქმებულ პირებს დაეხმაროს ეფექტიან მართვასა თუ შედეგიანი გადაწყვეტილებების მიღებაში“.



**კობა ალუღიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი:** „აუცილებელია, დაიწეროს და შედგეს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, გაწერილი უნდა იყოს ყველა ის აქტივობა, რაც აუცილებელია მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. შემდეგ უნდა მოხდეს გეგმის შედგენა, ბიუჯეტირება და მონიტორინგი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოქტომბრის ბოლომდე უნდა მიიღოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. მანამდე კი, დედოფლისწყაროში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ჩაერთოს ამ დოკუმენტის მომზადების პროცესში და საკუთარი აზრი დააფიქსიროს“.



კობა ალუღიშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს სამოქმედო გეგმის ძირითადი პრინციპები გააცნო.

სამუშაო ჯგუფის მიზნები ასე განისაზღვრა: ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობის ყველა ფენაში; სიტუაციური ანალიზი; სტრატეგიული ჩარჩოს განსაზღვრა; სამუშაო გეგმის შემუშავება/ბიუჯეტირება; საჯარო კონსულტაციები.

დოკუმენტის შედგენის დროს უნდა გამოვლინდეს, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თანამშრომლობა შესაბამისი მექანიზმების გამოძებნით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესის წინსვლას.

ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი მიზანია პარტნიორებთან (კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) ურთიერთანამშრომლობა, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ბიზნეს გარემო და ამგვარად შეიქმნას ხელშემწყობი პირობები კერძო სექტორის მიერ მართული ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების გაზრდისათვის, რაც ერთნაირად მოუტანს სარგებელს მთელს საზოგადოებას ადგილობრივი თუ ეროვნული მასშტაბით.

**ინგა შიოლაშვილი**

## 2022 წელს ხორბლის წარმოება 15%-ით გაიზარდა - როგორია სხვა კულტურების მაჩვენებელი

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, სოფლის მეურნეობის წინასწარი მაჩვენებლები გამოაქვეყნა.

წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ხორბლის წარმოებამ 157.4 ათასი ტონა შეადგინა, რაც 15.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 0.5 პროცენტით გაიზარდა და 58.4 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 149.5 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 35.8 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. კარტოფილის წარმოება 15.6 პროცენტით შემცირდა და 198.2 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2022 წლის განმავლობაში წარმოებულია 127.9 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 14.2 პროცენტით ჩამორჩება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2022 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით სიმინდის და კარტოფილის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები შემცირდა. გაიზარდა ხორბლის, ქერის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.9 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 2.4 ტონა/ ჰა, სიმინდის - 2.1 ტონა/ჰა, კარტოფილის - 11.7 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 11.0 ტონა/ჰა, აქედან პომიდვრის მოსავლიანობაა 12.7 ტონა/ჰა, კიტრის 13.2 ტონა/ჰა, ხახვის 7.8 ტონა/ჰა, ნივრის 3.7 ტონა/ჰა, კომბოსტოს საშუალო მოსავლიანობამ კი შეადგინა 32.2 ტონა ერთ ჰექტარზე.

წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 211.8 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს უტოლდება. თუმცა საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობი გაიზარდა 4.5%-ით და შეადგინაა 67.1 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა 2.0%-ით და შეადგინა 144.7 ათასი ჰექტარი. ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 76.9 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 55.5 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 27.2 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 16.8 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 13.2 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 9.5 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 14.4 ათას ჰექტარს შეადგენდა. წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს ქვეყანაში წარმოებულია 87.9 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 1.9 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ასევე 69.7 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 5.6 პროცენტით მეტია), 42.2 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (21.7 პროცენტით ნაკლებია), 17.3 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (25.1 პროცენტით ნაკლებია), 53.1 ათასი ტონა ციტრუსი (13.8 პროცენტით ნაკლებია). გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2022 წელს წარმოებულია 279.8 ათასი ტონა ყურძენი, რაც 3.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

# სააღდგომო ნობათი გადაეცათ

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, დედოფლისწყაროს „სათნოების სახლის“ ბენეფიციარებს სააღდგომო ნობათები გადაეცათ.***

საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა დოდო ხუნაშვილმა და სათნოების სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიიღეს. სასაჩუქრე კალათა დედოფლისწყაროს სათნოების სახლის 170 ბენეფიციარს გადაეცა.



# „აჰა“ მომენტი - სინათლე თქვენს ცხოვრებაში

*„გამარჯობა,*

*ჩემო ძვირფასო და საყვარელო ადამიანო, მადლობა, რომ ამირჩიე შენი ფიქრების, ემოციების და მიზნების მეგზურად.*

*მე შენი დიდი მხარდამჭერი და გულშემატკივარი ვარ. იცოდე, რომ გულისყურით გისმენ და ჩემთან გაჟღერებული შენი ნებისმიერი მიზენი/ოცნება აუცილებლად ასრულდება. ამიტომ თამამად გააჟღერე შენი პატარა სურვილი თუ დიდი ოცნება.*

*მანამ ვიქნები შენთან სანამ ამას თავად გადაწყვეტ, მიყვარხარ, მადლიერი ვარ და მჯერა შენი.*

*გახსოვდეს, რომ შენ უნიკალური განძი ხარ, განძი ამ სამყაროში.*

*სიყვარულით,*

*შენი მეგზური ზღაპრულ სამყაროში“.*




- ასე იწყება „აჰა“ მომენტი, პიროვნული განვითარების დღიური, რომლის პრეზენტაცია 8 აპრილს ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა. ავტორს – **სოფიო შანშაშვილს**, დაინტერესებული პირებისთვის მოწვეული ჰყავდა სტუმრები: ეთერ მაზანაშვილი (ფსიქოლოგი, PCC ქოუჩი) და ნინო ეფხოშვილი (ქოუჩი, ტრენერი, პოზიტიური ფსიქოკონსულტანტი, წარმატების სკოლის დამფუძნებელი და ამერიკის №1 წარმატების ქოუჩის ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოში), რომლებმაც ძალიან საინტერესო ვორქ-შოპები და სამოტივაციო ლექცია-სემინარი ჩაუტარეს დამსწრე საზოგადოებას.

კითხვაზე, თუ რა არის „აჰა“ მომენტი, მისმა ავტორმა პრეზენტაციის შესავალშივე გასცა პასუხი: „ძალიან დიდი მადლობა, რომ დასვენების დღის მიუხედავად მოხვედით და ასეთი დახვედრა მოუწყეთ ჩემს სტუმრებს. რა არის „აჰა“ მომენტი? ხშირად „აჰა“ მომენტი წიგნი ჰგონიათ, რადგან ის ვიზუალურად ძალიან ჰგავს წიგნს, თუმცა, სინამდვილეში ის წიგნის ტიპის პიროვნული განვითარების დღიურია, რომელში სამუშაოდაც ძალიან ბევრი თეთრი ფურცელია. თუ გსურთ საკუთარ თავზე მუშაობა პერსონალურად, სასურველ დროს და ადგილას...თუ გსურს, სასურველი ცხოვრების სცენარისტი თავად იყოთ, ეს დღიური თქვენთვისაა. „აჰა“ მომენტი არის იგივე გაცნობიერება, ჩაწვდომა, მიგნება და ის მომენტი, რომელსაც ხშირად უნდა დავუკვირდეთ. ეს დღიური დაგვეხმარება სწორედ იმაში, რომ ეს „აჰა“ მომენტები ხშირად გავაცნობიეროთ. ეს ის მომენტებია, რომლებიც აუცილებლად ცვლის ხოლმე ჩვენს ცხოვრებას. „აჰა“ მომენტი პიროვნული განვითარების დღიურია ტექნიკებით ქოუჩინგიდან და ფსიქოთერაპიიდან. 12 ტექნიკა, 2 მარათონი და „ჯადოსნური“ თილისმა, დღიურში არსებული თეთრი ფურცლები გაძლევს სრულ თავისუფლებას, წერო იმდენი, რამდენიც გინდა და რაც გინდა. დღიურში არის ნახევარი წლის პროგრამა. დიახ, პროგრამა და არა უბრალოდ ტექნიკების ერთობლიობა. „აჰა“ მომენტის შეძენით, ზოგავ რამდენიმე სესიის და ტრენინგის თანხას. „აჰა“ მომენტი დაგეხმარებათ იყოთ მოტივირებული, თავდაჯერებული, მისი დახმარებით დაიბრუნებთ რესურსულ მდგომარეობას, მაქსიმალურად გამოავლენთ საკუთარ პოტენციალს. თილისმა კი ზღაპრულ მოგზაურობას უფრო ჯადოსნურს გახდის. დღიურის ფასია 55 ლარი“.

შეხვედრაზე თილისმის ავტორმა **თინა ზაქაიძემაც** ისაუბრა, რომელმაც ახსნა თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ თილისმას: **„რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ამ თილისმაზე დატანილია საკმაოდ ძლიერი აფირმაციები (წინადადება ან ფრაზები, სადაც ჩვენი ის სურვილებია გამოხატული, რომელიც გვინდა, რომ ახდეს). ეს არის საკმაოდ ძლიერი მამოტივირებელი სიტყვები, რომელიც ძალიან გვეხმარება მიზნის მიღწევაში, პოზიტიურ აზროვნებაში. შემთხვევით არ იწყება „მე ვარ“-ით, აქაც პიროვნული განვითარების აზრია ჩადებული“.**

სოფიო შანშაშვილმა აუდიტორიას დღიურის დიზაინერი **თაკო ალადაშვილიც** გააცნო, რომელმაც აღნიშნა: **„მართლა მთელი გული და სული ჩავდეთ ამ ფურცლების შექმნაში. თითოეული წაკითხული გვერდი უფრო და უფრო მეტ მოტივაციას გვაძლევდა, რომ დღიური ყოფილიყო სადა, მსუბუქ და სასიამოვნო ფერებში გადაწყვეტილი, თითოეულ გვერდსა და ტექნიკას თავისი ილუსტრაცია ჰქონოდა. გვიხარია, რომ ჩვენმა მუშაობამ ასეთი სახე მიიღო და დღეს უკვე მომხმარებელი აფასებს მას“.**

**ეთერ მაზანაშვილმა (ფსიქოლოგი, PCC ქოუჩი)** ისაუბრა თუ რა არის ქოუჩინგი, ვინ არის ქოუჩი: **„ეს ის კითხვაა, რომლის პასუხიც უმრავლესობას აინტერესებს. ქოუჩინგი არის პარტნიორული ურთიერთობა კლიენტსა და ქოუჩს შორის, რომელიც ასტიმულირებს აზროვნებით და შემოქმედებით პროცესებს და კლიენტს შთააგონებს მაქსიმალურად გამოავლინოს პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობები. ქოუჩი ეხმარება კლიენტს გაცნობიერებულობის ამაღლებაში, რას აღწევს სათანადო ძლიერი კითხვების დასმით, რათა მან შეძლოს გააცნობიეროს რა სურს, რა რესურსები გააჩნია, და რა სჭირდება კიდევ მიზნის მისაღწევად“.** ტერმინი „ქოუჩინგი“ ინგლისიდან მოდის. იქ „ქოუჩებს“ეძახდნენ მეეტლეებს, რომლებიც მართავდნენ ორთვალა ეტლებს ტვირთის გადასატანად. მოგვიანებით ქოუჩებს უწოდებდნენ რეპეტიტორებს და მასწავლებლებს, რომლებიც მეეტლეების მსგავსად ვალდებულნი იყვნენ, მოსწავლეები სწრაფად მიეყვანათ დასახულ მიზნებამდე. კიდევ უფრო მოგვიანებით ქოუჩებს ამერიკულ კოლეჯებში სპორტული გუნდის მწვრთნელს უწოდებდნენ. ქოუჩინგის თანამედროვე გაგება დაკავშირებულია ტიმოთი გოლვის სახელთან (W. Timothy Gallwey) - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ამავდროულად ჩოგბურთის მოყვარული და მცოდნე. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, გოლვიმ დაწერა წიგნების სერია, სახელწოდებით „შინაგანი თამაში“. ქოუჩი არ არის ფსიქოლოგი, მენტორი, მრჩეველი, კონსულტანტი. ქოუჩი არ გაძლევთ რჩევებს! ქოუჩინგი არის მოკლე და კომფორტული გზა მიზნის მისაღწევად. საკუთარი თავის, რესურსების აღმოჩენის და თავიდან დაბადების შესაძლებლობა. ქოუჩი კი არის შენი მეგზური, სიმშვიდის და კომფორტის გარანტი.

წარმატების სკოლა, რომლის დამფუძნებელმაც საინტერესო პრეზენტაცია და ვორქ-შოპი შესთავაზა აუდიტორიას, გვიზიარებს 7 მიზეზს, თუ რატომ არის „აჰა” მომენტი განსხვავებული და უნიკალური:

**1. ის არ არის ჩვეულებრივი ბლოკნოტი, დასაგეგმი ან სამოტივაციო დღიური;**

**2. „აჰა” არის პიროვნული განვითარების დღიური ტექნიკებით (ქოუჩინგიდან და ფსიქოთერაპიიდან);**

**3. ერთი დღიურის შეძენით ზოგავთ რამდენიმე სესიის თანხას;**

**4. მუშაობის პროცესში თქვენ არ ხართ მარტო – „აჰა” გესაუბრებათ;**



**5. დღიურში არის თავისუფალი ფურცლები (ხაზების გარეშე), რომ მეტი თავისუფლება გქონდეთ მუშაობის პროცესში, წეროთ იმდენი, რამდენიც გინდათ და რაც გინდათ;**

**6. დღიურს მოყვება „სურვილების თილისმა“ ჯადოსნური აფირმაციით;**

**7. „აჰას“ შემოაქვს სიყვარული და ჰარმონია, სინათლე თქვენს ცხოვრებაში;**

**შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შეხვედრის დასასრულს თითოეულ მსურველს შესაძლებლობა ჰქონდა თავისი შთაბეჭდილებები და ემოციები დღიურის ფურცლებზე დაეფიქსირებინა.**

„აჰა“ მომენტი არის გაცნობიერება, გააზრება, მიგნება, აღმოჩენა. მომენტი, როცა ხვდები, რომ ეს „ისაა“...მომენტი, როცა ხვდები, აქამდე არასოდეს მიფიქრია... მაგრამ მიგნებისთანავე აღარ გავიწყდება...და თუ კარგად დააკვირდები შენს „აჰა“ მომენტებს, ჩაუღრმავდი, ის აუცილებლად შეცვლის შენს ცხოვრებას და შეგცვლის შენ! კი, ზუსტად ისეთი გახდები, რაც გაიფიქრე... „საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია“...საკუთარი ცხოვრების სცენარისტიც თავად გახდები და ამ ზღაპრულს სცენარს კი ამ დღიურში დაწერ...

**ჟუჟუნა ყანჩაშვილი**
**ინგა შიოლაშვილი**





# ქალი და კლიმატის ცვლილება

***11 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, მერიის შენობაში არსებულ ქალთა ოთახში, მწვანე ალტერნატივას და ვესტმისტერის დემოკრატიის ფონდის (westmister foundation for democracy)-ს შორის არსებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ქალთა ფოკუს ჯგუფის შევედრა/დისკუსია გაიმართა თემაზე: „ქალებთან კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შესახებ“.***

შეხვედრა ქალების საჭიროებების, პრობლემებისა და დამოკიდებულებების სიღრმისეულ შესწავლას ემსახურებოდა, რომელიც კვლევისთვის „კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება ქალების მოწყვლადობაზე საქართველოში“ მონაცემების შეგროვებას გულისხმობს.

შეხვედრას კულტურის, ბავშვთა და ახალგაზრდობის, მედიისა და მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დისკუსიამ სხვადასხვა პრობლემური საკითხები, მათი მოგვარების გზები და ალტერნატივები გამოკვეთა. შეხვედრას უძღვებოდა მარიამ დევიძე „მწვანე ალტერნატივის“ გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პროგრამის სპეციალისტი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საინტერესო დისკუსიისთვისა და აქტიური მონაწილეობისთვის.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. ამჟამად ორგანიზაციას 12 აქტიური წევრი და 10 თანამშრომელი ჰყავს.

„მწვანე ალტერნატივას“ მისიაა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

**ჟუჟუნა ყანჩაშვილი**

# „არც ერთი მეგობარი არაა ისეთი ერთგული, როგორც კარგი წიგნი"

***„არც ერთი მეგობარი არაა ისეთი ერთგული, როგორც კარგი წიგნი," - ამბობდა ჰემინგუეი.***

23 აპრილს მსოფლიოში წიგნის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. თარიღი „იუნესკომ" აირჩია და წიგნის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. 1923 წელს კატალონიელი წიგნის გამყიდველების მიერ მიგელ დე სერვანტესისა და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეს, 23 აპრილს მოწყობილი წიგნების ფესტივალი ტრადიციად 1995 წელს იქცა. წიგნის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად საქართველოშიც აღინიშნება. 2019 წელს,ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის გიორგი კეკელიძის ინიციატივით, ასევე დაწესდა წიგნის ჩუქების დღე, რისი მიზანიც საქართველოში ზოგადად წიგნის და წიგნიერების პოპულარიზაცია გახლავთ.

„იუნესკოს" გადაწყვეტილება მსოფლიომ დიდი ენთუზიაზმით მიიღო. განსაკუთრებით აქტიური ორი ქვეყანა გამოდგა: ნიდერლანდები, სადაც ამ დღესასწაულს „თეთრი წიგნის კვირეულით" აღნიშნავენ და დიდი ბრიტანეთი, სადაც წიგნის მსოფლიო დღე დიდ დღესასწაულად იქცა, თანაც 23 აპრილი შექსპირის დაბადების


სიდური

დღეცაა.

ყოველწლურად დაახლოებით 2.2 მილიონი ახალი ნაწარმოები იბეჭდება. წიგნები ოდესლაც ფუფუნების საგნები იყო. ახლაც არის, თუმცა შინაარსობრივად, რადგანაც მატერიალურად დღეს უფრო მეტად ხელმისაწვდომია.

დღესდღეობით ერთ-ერთ პირველ წიგნებად მოაზრებულია: გუტენბერგის ბიბლია, მადრიდის კოდექსი, სიდური - ებრაულ ლოცვათა წიგნი, კელტების წიგნი, ეტრუსკების ოქროს წიგნი და ა.შ. ისინი ასწლეულებსა და ათასწლეულებს ითვლიან.

ამქვეყნად იმდენნაირი ტექსტია, რამდენნაირი ადამიანიც არსებობს. ზოგი ძალიან ხმაურიანი და მყვირალაა, დაწერისთანავე მოდური ან ბოლომდე შეუმჩნეველი, ზოგი - ძალიან მშრალი ან, პირიქით, ზედმეტი სენტიმენტალობისგან დანოტივებულიც კი, ზოგს მკვეთრად გამოხატული ხასიათი აქვს, ზოგი კი სრულიად უნებისყოფოა, ზოგი მარილიანია და ზოგი - მლაშე, ზოგი - ადვილად გასაგები, ზოგი კი უძველესი ლურსმული წარწერებივით ასო-ასო ამოსაკითხი და ამოსაცნობი, ზოგი პლასტმასის ერთჯერად ჭურჭელს ჰგავს, ზოგი - მეთექვსმეტე საუკუნის იტალიური ბროლის ნაკეთობას. ისეთი ტექსტებიცაა, რომლებიც არ არსებობს, მხოლოდ ვილაცის ფანტაზიასა თუ ტყუილში ცოცხლობს.


მადრიდის კოდექსი

ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე გვახვევია გარს ბგერათა გრაფიკული სახეები, პიქტოგრამები თუ იეროგლიფები, შეიძლება, შეედავო კიდეც ცნობილ ფილოსოფოსს, რომ ენობრივში კი არა, ტექსტობრივ სამყაროში ვცხოვრობთ და რეალურად მხოლოდ ის არსებობს, რაც დაიწერა და არა ის, რაც ითქვა და დასახელდა.

ამ ტექსტობრივ სამყაროს, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს - მკითხველი სჭირდება.

ტექსტამდე მკითხველის გზა კი ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივია, როგორიც ოდისევსის მოგზაურობა ჰადესის სამეფოში. მკითხველს ანუ ლიტერატურულ გურმანს აღზრდა სჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ რომელიღაც ცნობილ და უთვალავსაცავიან ბიბლიოთეკაში მოხვდით, ჩვეულებრივ ბიბლიოთეკაში, სადაც არც კარტოთეკაა და, მით უმეტეს, არც უსინათლო ბიბლიოთეკარი, თავად უნდა გაერკვეთ და მოძებნოთ ის, რაც გინდათ.

შეგიძლიათ, ბორბლებიანი მაღალი კიბე მოიტანოთ, რომელიც მთავარი დარბაზის ერთ-ერთ ცივ კუთხეშია აყუდებული, თაროებთან მიაგოროთ და ძებნა დაიწყოთ, მაგრამ საცავი იმდენად დიდია, რომ ძებნას მთელი სიცოცხლე დასჭირდება და იქნებ სიკვდილამდე ვერც კი იპოვოთ ის, რასაც ეძებდით.

მკითხველის ბედნიერება სწორედ მარადიულ ძიებაშია, პოეზიის, პროზის, ათასი ფორმისა და ჟანრის საოცარ მრავალფეროვნებაში ჩვენ ყოველთვის ვეძებთ ჩვენი ცხოვრების წიგნებს, ამბებს მახვილგონიერ იდალგოსა და მის თანამგზავრზე, პატარა მაწანწალას სევდიან ამბავზე, ლონდონის ჯურღმულებში გატარებულ დღეებზე, ცირკის მსახიობ უსახლკარო ბიჭსა თუ პარიზელ გავროშზე, მერი პოპინსსა და ვარსკვლავიანი თაფლაკვერებზე, მაწანწალა რასმუსსა და შესანიშნავი ოჯახის საზაფხულო ისტორიებზე სალტკროკასა თუ კორფუზე, უფლისწულსა და


ეტრუსკების ოქროს წიგნი

მამის აჩრდილზე, შეყვარებულ წყვილზე და სამკვდროდ გადაკიდებულ ორ გვარზე, ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულ ქალზე და მის საძებრად წამოსულ სამ მოყმეზე, მამაც ბრუნჰილდაზე, ეშმაკ ოდისევსსა და უკვდავების მაძიებელ გილგამეშზე, ტრამალის მგელსა და ჯადოსნურ მთაზე, ადამიანის ხოჭოდ გადაქცევის მეტამორფოზაზე და ნატაშა როსტოვას პირველ ცეკვაზე, პატარა პრინცსა და მდინარეზე ტივით გაქცეულ თავზეხელაღებულ ბიჭზე, ვეძებთ იმ დღიდან, როცა ასოების ცნობას ვისწავლით, იმ დღემდე, სანამ მხედველობა ისე არ დაგვიბლაგვდება, რომ სარკეში საკუთარი ანარეკლის გარჩევა გაგვიჭირდება.

23 აპრილი წიგნის დღეა, მკითხველის დღესასწაულია. მკითხველის, რომელიც წიგნიდან წიგნამდე მოგზაურობს, იზრდება, სწავლობს, იცვლება, მაგრამ არასდროს კარგავს მთავარს - ბეჭდური თუ ელექტრონული წიგნიდან სხვადასხვაგვარი შრიფტის ჭიანჭველები გონებაში დაამწკრივოს და ახალი ლიტერატურული სამყაროსკენ გაუყვეს გზას...

წიგნისა და მკითხველის დღეს გილოცავთ!

# ბიბლიაში კურთხეული ქართული ენა

***ქართული ენა კურთხეულია ბიბლიაში: „და ენაი ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა".***

ქართული ენა გადაურჩა საუკუნეების შემოტევას. გაუძლო ოსმალთა და სპარსთა, არაბთა, მონღოლთა, სხვათა გაუსაძლის ზეწოლას. სარწმუნოებასა და მამულთან ერთად, ენაც შეინარჩუნეს ქართველებმა. თუმცა, ენის გადარჩენა ლამის საბოლოო გაჩანაგებად დაუჯდა ერს. და მაინც, მოუდრეკელი სული, დაუმორჩილებელი გენი ქართველებისა, კვლავაც მზად იყო და შემართული გახლდათ სამი უპირველესი მცნების დაცვისთვის. უამრავ დასაცველსა და გასაფრთხილებელ-გადასარჩენს შორის, უპირველესად ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავის გადადებას მიიჩნევდნენ და ხშირად ეს მოვალეობა სავალალო მსხვერპლთშეწირვით დაუსრულებიათ.

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი. მათ შორის ერთი უძველესთაგანია ქართული. 2016 წლის 30 ნოემბერს ქართული ანბანი იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ზუსტი დამათარიღებელი წყარო არ არსებობს. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი - ლეონტი მროველი ფარნავაზ I-ს მიაწერს (ძვ. წ. III ს) ქართული ანბანის შექმნასა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას: „ამან განავრცო ენა ქართული, და არღა-რა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვინიერ ქართულისა: და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული". დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის უძველესად ითვლება 430 წლით დათარიღებული პალესტინის ან ბირ ელ ყუტის ქართული მონასტრის წარწერა, რომელიც იერუსალიმში, ფრანცისკანელთა მუზეუმში ინახება. თუმცა ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოებისას აღმოაჩინეს წარწერიანი ფილები. მიმდინარეობს წარწერების გამოკვლევა და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდები რომ, შესაძლოა ისინი წინარექრისტიანულ პერიოდს ეკუთვნოდეს.

არსებობს სამი სახის ქართული დამწერლობა: მთავრული, ნუსხური და მხედრული. მათგან უძველესი მთავრულია. თითოეულ მათგანს სახასიათო გრაფიკული სტილი აქვს, თუმცა ასოთა მოხაზულობის ცვალებადობის თვალსაზრისით ნუსხური ასომთავრულის განვითარების შედეგია, მხედრული კი - ნუსხურისა. ნუსხური დამწერლობის მაგალითები IX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ მთლიანად ნუსხურით შესრულებული ხელნაწერები მხოლოდ XII საუკუნიდან არსებობს. ნუსხურის პარალელურად კვლავ იყენებდნენ ასომთავრულს ეპიგრაფული წარწერებისთვის, ასევე ხელნაწერებში სათაურებისა და საზედაო ასოების შესასრულებლად. ნუსხური დამწერლობა დღემდე გამოიყენება საეკლესიო ლიტერატურაში. მხედრული თანამედროვე ქართულ ანბანს ეწოდება და მისი მაგალითები XI საუკუნიდან გვხვდება. თანამედროვე ქართულ ანბანში 33 ასოა. ძველ ანბანში 38 ასო-ნიშანი იყო, რომელთაგან 5 ილია ჭავჭავაძისეული (ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე) რეფორმის შემდეგ აღარ გამოიყენება. ეს 5 ასო ანბანიდან ამოაგდეს, რადგან ისინი ცოცხალ ქართულ ენაში აღარ გამოიყენებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასოებით აღნიშნული ბგერები დღესაც გვხვდება ქართველურ ენებსა და დიალექტებში, როგორიცაა: ხევსურული, ფშაური, სვანური და სხვა.

მხედრულისათვის 1728 წელს ნიკოლოზ თბილელმა ზედა რეგისტრის, უშუალოდ მხედრულისგან წარმოებული „მთავრული" ასოები შექმნა. „მხედრულის მთავრული" ასოები გამოიყენება სათაურებში და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოსაყოფად. აღსანიშნავია, რომ სხვა ბიკამერული დამწერლობებისგან განსხვავებით, მთავრული და მხედრული ასოების კომბინაცია ერთი სიტყვის ფარგლებში, ქართულში მიღებული არ არის. XVIII საუკუნემდე საქართველოში რიცხვების ჩასაწერადაც ანბანის ასოებს ხმარობდნენ. ქართული დამწერლობის ერთ-ერთი უნიკალური მახასიათებელია, რომ ტექსტი ზუსტად ისე იკითხება, როგორც იწერება. ქართული ანბანი ყურადღებას იქცევს სილამაზითაც. დახვეწილი, რიტმული გრაფიკული მონახაზი ძალიან ესთეტიურად გამოიყურება. საყურადღებოა წითელი მელნის მნიშვნელობაც ქართულ ხელნაწერებში. წითლად გამოყოფდნენ ტექსტის ძირითად სათქმელს, უმნიშვნელოვანეს ფრაზებს, რაც ფუნქციურ დანიშნულებასთან ერთად დეკორატიულ ელემენტსაც სძენდა ხელნაწერს. ვეფხისტყაოსნის (აღორძინების ხანის უმნიშვნელოვანესი ქართული პოემა) ხელნაწერ გამოცემებში ყოველი სტროფის პირველი სიტყვა და ყოველი ტაეპის პირველი ასო წითელი მელნითაა შესრულებული. პირველი ქართული ნაბეჭდი ქართული წიგნი - „ქართული ანბანი ლოცვებითურთ" 1629 წელს ქალაქ რომში გამოიცა. ამ წიგნისათვის ქართული შრიფტი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა შექმნა, რომელიც თეიმურაზ I-ის ელჩი იყო იტალიაში. საქართველოში კი პირველი სტამბა 1708-1709 წლებში დაარსდა, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს და მას „ვახტანგ VI-ის სტამბა" ეწოდება.

კონსტანტინე გამსახურდია თავის პუბლიცისტურ წერილში („ისევ ქართული შრიფტის შესახებ") წერდა: „1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში მასწავლიდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოლოგი ბარონ ფონ ლიხტენბერგი, ჟურნალ მემნონის რედაქტორი"... შემდეგ მწერალი აღწერს მეცნიერის ქართული ანბანით დაინტერესებას და ამ ანბანის მისეულ შეფასებას: **„მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება"**...

ამავე თემაზე აქვს მწერალს მოგონება კიდევ ერთ წერილში - „ქართველობა და უცხოეთის გენია" **„ქართული ალფაბეტი, - მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, - ჩემთვის ჯერაც ამოუხსნელი სფინქსია. მარტო ესთეტიური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზს, კოხტა ასოებს. ქართველები, ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი"**.

ქართულ ანბანზე თავიანთი შეხედულებები აქვთ გამოთქმული სხვა, არანაკლებ სახელგანთქმულ უცხოელ მეცნიერებსაც:

**„ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია".** - პ. კ. უსლარი - რუსი ენათმეცნიერი (1816-1875).

**„ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულიად და ზუსტად გამოხატავს; ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება, ყოველი ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება".** - უილიამ ედუარდ დევიდ ალენი - ინგლისელი ორიენტალისტი (1901-1973)

**„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მალამხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა."** - ნიკო მარი.

*14 აპრილი ქართული ენის დღეა. სახელმწიფო სტრუქტურებიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქის ჩათვლით, ყველა ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს მას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას. უნდა გვახსოვდეს, რომ გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს.*

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

# შეხვედრა სასაზღვრო პოლიციასთან

***შსს სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართეს. სამმართველოს ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ზურაბიშვილმა მოზარდების შეკითხვებს უპასუხა და საზღვრის მნიშვნელობასა და მესაზღვრის როლზე ისაუბრა. კითხვების დასმის შესაძლებლობა „შირაქსაც“ მიეცა. ეს უპრეცედენტო შეხვედრა იყო, რადგან ამ უწყებას ასეთი ფორმატის ღია შეხვედრა არასოდეს გაუმართავს და მათი ყოველდღიური საქმიანობის გაცნობა ხელმისაწვდომი აღარ არის. შეხვედრას, რომელიც ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა სამმართველოს უფროსის მოადგილე მერაბ შუბითიძეც ესწრებოდა.***



**ნიკოლოზ ზურაბიშვილი:** „1994-96 წლებში სავალდებულო სამხედრო სამსახური გავიარე. შემდეგ უკრაინაში დავამთავრე აკადემია სასაზღვრო განხრით. მას შემდეგ საქართველოში დავბრუნდი და საზღვარზე ვმუშაობ. ყველაზე დაბალი საფეხურიდან დავიწყე და შემდეგ უკვე სხვადასხვა თანამდებობებზე ვიმუშავე. ჯერ სექტორის უფროსის მოადგილე ვიყავი, მაშინ დიდი გამოცდილება არ მქონია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სირთულეებს წავაწყდი, რადგან ხელმძღვანელი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამან მუშაობა გამიადვილა. განსაკუთრებული სირთულეები არ მიგრძვნია. გასული წლის ოქტომბრიდან დავინიშნე ამ თანამდებობაზე და დედოფლისწყაროს საზღვრის დაცვაზე ვზრუნავ. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, როცა საქმე ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. რა თქმა უნდა, ჩემთვის და ყველასთვის საამაყოა ამ სამსახურში ყოფნა.

***– საქონლის ქურდობის, დაკარგვის შემთხვევები თუ იყო და ზოგადად, რა ინციდენტები ფიქსირდება სასაზღვრო ზოლში?***

– გასულ ექვს თვეში ასეთი ფაქტები არ დაფიქსირებულა, რაც მე ვხელმძღვანელობ უწყებას, მას შემდეგ ასეთი არცერთი შემთხვევა არ ყოფილა. მანამდე რა იყო ვერ გეტყვით. ასევე არ დაფიქსირებულა საზღვრის დარღვევის ფაქტი. თუმცა, გვაქვს სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები, რაზეც რეაგირება ხდება. არის ზონები, სადაც გადაადგილება მხოლოდ სპეციალური საშვით



არის ნებადართული. საშვებს ჩვენი სამმართელო გასცემს და ელექტრონული ფორმითაც შეიძლება სასურველ მონაკვეთზე საშვი მოითხოვოთ და ვებ-გვერდის მეშვეობით შეძლებთ ნებართვის აღებას და შეუფერხებელ მოძრაობას.

***– დავით გარეჯის მაგალითზეც ითქვა და ხშირად საუბრობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში საზღვრის მონაკვეთები წლების მანძილზე დაუზუსტებელია და პრობლემებს ქმნის მეზობლებთან ურთიერთობაში. გვითხარით, ამ კუთხით რა ვითარებაა დედოფლისწყაროში, ჩვენს მონაკვეთზე რამდენად დაზუსტებულია სასაზღვრო ზოლი?***

– დემარკაციის პროცესი და სასაზღვრო ზოლის დაზუსტების სამუშაოები ორი ქვეყნის კომისიის ჩართულობით ათეულობით წელია გრძელდება. ბოლო წლებშიც ბევრი რამ დაზუსტდა. ამ ეტაპისთვის შემიძლია გითხრათ, რომ დედოფლისწყარო-აზერბაიჯანს შორის არსებული სასაზღვრო ზოლის თითქმის 90% სრულად დაზუსტებული და შეთანხმებულია აზერბაიჯანულ მხარესთან... ამიტომ, გაურკვევლობები და პრობლემები არ იქმნება, რადგან უდიდესი ნაწილი დაზუსტებულია. რჩება მცირე ნაწილი, რომელზეც კომისია მსჯელობას აგრძელებს. თუმცა, ძირითადი პრობლემები გადაჭრილი და გარკვეულია. ზოგადად, ეს ხანგრძლივი პროცესია. ბოლო მონაცემებით, დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში, სადაც საბოლოო ნიშნულებს დგამენ, დედოფლისწყაროს საზღვარზე არ არის, მაგრამ არის აჭარა-თურქეთისა და ახალციხის ტერიტორიაზე.

***– როგორი ურთიერთობა გაქვთ მეზობელი ქვეყნის კოლეგებთან და რამდენად თანამშრომლობთ ერთმანეთთან?***

– ნამდვილად მეგობრული დამოკიდებულება და მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანთან. ყოველდღიური თანამშრომლობა გვიწევს სტიქიურ შემთხვევებზე, თუ სხვა ყოფით საკითხებზე. ყოველთვის ვცდილობთ, ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ და ვითანამშრომლოთ. სექტორებზე პატრულირების დროს ერთმანეთს ესალმებიან და პატივისცემა არსებობს. ე.წ. „ჩათმაზე“ არის ერთი გზა, რომელსაც ორივე ქვეყნის სასაზღვრო პატრულირებს. საზღვრამდე 500 მეტრით ახლოს გადაადგილება შეზღუდულია, ასევე 5 კილომეტრის მანძილზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა ვრცელდება და მოძრაობისთვის საშვია საჭირო.

***– რამდენად პრესტიჟულია მესაზღვრის პროფესია და როგორი პირობებია სასაზღვრო საგუშაგოებზე?***

– დედოფლისწყარო სასაზღვრო რაიონია და ერთერთი ყველაზე გრძელი საზღვარი აქ არის. რთული რეგიონია და ჯამში 313 კილომეტრიანი საზღვრის მონაკვეთის დაცვას ვახორციელებთ. დასაქმების მხრივაც დიდ როლს ასრულებს მუნიციპალიტეტისა და მისი სოფლების მასშტაბით. ოჯახური პირობები გვაქვს ადგილზე, მიუხედავად იმისა, რომ საგუშაგოები ძალიან დაშორებულია რაიონულ ცენტრს, ყველგან შექმნილია სათანადო პირობები მესაზღვრეებისთვის. საკვები ადგილზე მზადდება, აქვთ ნორმალური ხელფასი, დაზღვევა როგორც საკუთარი, ისე ოჯახის წევრების. ძველი წლებისგან განსხვავებით საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობები საზღვარზე ნელ-ნელა უმჯობესდება. საშუალოდ 500 მესაზღვრე ზრუნავს დედოფლისწყაროს საზღვრის მონაკვეთის უსაფრთხოებაზე. შეიძლება არც კლიმატური პირობები გვიწყობდეს ხელს, მაგრამ მაინც ეფექტურად უნდა იყოს საზღვარი დაცული. დედოფლისწყაროში კი საზღვარზე ხშირად გვაქვს რთული კლიმატური პირობები.

***– რა სირთულეების გადალახვა მოგიხდათ ამ პროფესიაში?***

– საწყისი ეტაპი უფრო რთული იყო, როცა ვსწავლობდი და პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. ორი სამი თვე ჭირს, ვიდრე სამოქალაქო ცხოვრებიდან სამხედრო რეჟიმზე გადაერთვები. საკუთარ თავთან მეტი ბრძოლა გიწევს. გადაულახავი სირთულეები არ მქონია. მინდოდა ამ სფეროში მუშაობა, ეს პროფესია ჩემი არჩევანი იყო და სხვა რამეზე აღარც მიფიქრია. ყველა ადამიანს აქვს შანსი, მიაღწიოს მიზანს. სერჟანტებთან და მოქალაქეებთანაც სულ ამაზე ვსაუბრობ, რომ ყველას აქვს შანსი, განვითარდეს და წინ წავიდეს. მრავალრიცხოვანი სამსახურია და არავინ უნდა იფიქროს, რომ 300-500 კაცში არ გამოვჩნდებიო. ვინც თავს გამოიჩენს ხოლმე, ჩვენს უწყებაში ყველას დაუფასდა ში, ხშირად ფეხით გვივლია ქოჩების საგუშაგოზე. რთული პირობები იყო ჩამოყალიბების დღიდან. მაშინ ქვეყანაშიც ბევრი პრობლემა იყო, ნაკლები ხელშეწყობა გვქონდა. მხოლოდ ერთი ავტომობილი იყო, რომელიც ხშირად გვიფუჭდებოდა და მაინც ყველანაირად ვცდილობდით სამსახურეობრივი მოვალეობა პირნათლად შეგვესრულებინა. დიდი წვალების ფასად დიტო ექიმი მაინც ახერხებდა მესაზღვრეებთან ჩასვლას და მათ დახმარებას. მას დიდი საქმე აქვს გაკეთებული და მინდა იცნობდეთ. ის ჩუმად დადის ამ რაიონში და უნდა ვიცოდეთ. ხან სასაზღვრო ჯარები ერქვა, ხან სასაზღვრო ძალები, ხანაც დეპარტამენტი, ახლა კი შსს-ს დაქვემდებარებაში არსებული სასაზღვრო პოლიციის სტატუსი აქვს. მაღალი ტემპერატურით ხასიათდება მდინარე იორის მხარე, ალაზნის მხარეს მოქმედი საგუშაგოები შედარებით უკეთეს პირობებში არიან. წარმოუდგენელ სიცხეში მესაზღვრეს უწევს პატრულირება ფორმაში, აღჭურვილობითა და იარაღით“.

**დიმიტრი ყოჩიაშვილი:** „წლების მანძილზე ძალიან ბევრი რამ ვნახე და ბევრი ადამიანი გავიცანი, დიდი გამოცდილება მივიღე. სამშობლო საზღვრიდან იწყება, თავს განსაკუთრებულად გრძნობ, როცა შენი ქვეყნის საზღვართან დგახარ. მე ყველა პროფესია მიყვარს, მათ შორის ჩემიც, მაგრამ მართლა სხვა სიამაყის განცდაა საზღვარზე დგომა. სანამ სასაზღ-




და წარმატებებს მიაღწიეს.

***– რა სიხშირით და როგორ ხდება მესაზღვრეების გადამზადება?***

– ბოლო პერიოდში ონლაინ გადიან თეორიულ მომზადებას, ასევე პრაქტიკულ, საბრძოლო იარაღით სასწავლო სროლებს კვარტალში ერთხელ. ასევე პერიოდულად სხვადასხვა კატეგორიის მესაზღვრეებისთვის 10 დღიანი, ან 2 კვირიანი სწავლება ხდება ბაზებზე. პანდემიის გამო ეს აქამდე დარღვეული იყო. სექტორის ხელმძღვანელებიც სისტემატიურად ატარებენ მეცადინეობას, როგორ უნდა მოხდეს დაკავება, ჩხრეკა, გადაყვანა და სხვა პროცედურები“.

***შეხვედრა დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში, კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონის“ მწვრთნელის ინიციატივით შედგა. თამაზ ყარაგვეზაშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან პროფესიული შეხვედრების ციკლი გაგრძელდება და სასურველ სფეროებს თავად ახალგაზრდები შეარჩევენ. მისი თქმით, შეხვედრები ხელს შეუწყობს ცალკეული პროფესიების პოპულარიზაციას, ახალგზრდებში პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთების გაღრმავებას, დააფასებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც დღის ყველა მონაკვეთში ქვეყნის სადარაჯოზე დგას და იცავს ეროვნულ უსაფრთხოებას.***

**თამაზ ყარაგვეზაშვილი:** „დედოფლისწყაროში სასაზღვრო სამსახური 1995 წელს შეიქმნა და მე და ექიმი დიტო ყოჩიაშვილი 1996 წლიდან უწყვეტად ვმუშაობთ ამ სამსახურ-

ვროში არ დავიწყე მუშაობა, მანამდე არ ვიცოდი, თუ ასეთი ლამაზი იყო დედოფლისწყარო. უამრავი ლამაზი ადგილია, სადაც ისე ვერ მოხვდები, ზოგგან საშვია საჭირო. ისეთ დროს დავიწყეთ მუშაობა, როცა პირობები საერთოდ არ არსებობდა, დღეს უკვე ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიდან თანამედროვე პირობებზე გადავედით. მედიკამენტებითაც სრულად უზრუნველყოფილნი ვართ, მათ შორის მოშორებულ საგუშაგოებზეც. თუ მესაზღვრე თავს ცუდად გრძნობს, აღარ არის შეფერხება მისი რაიონულ ცენტრში დროულად ტრანსპორტირების და მკურნალობის მხრივ. კვება და ანაზღაურებაც საუკეთესოა და ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია. საინტერესო შეხვედრა შედგა და დიდი მადლობა ორგანიზებისთვის. გამახსენდა, ჩემს ბავშვობაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ხშირად იმართებოდა ასეთი შეხვედრები, სადაც პროფესიულ დეტალებზე ვსაუბრობდით. ეს ფორმატი ბევრისთვის საინტერესოა და მართლა ბევრი მოზარდი აქედან ირჩევს პროფესიულ გზას“.

**მოზარდებმა დასვეს კითხვები, რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს, რა უნდა გააკეთოს ახალგაზრდამ, რომ სასაზღვრო პოლიციის რიგებში მოხვდეს, როგორია მათი რეჟიმი და ა.შ. შეეხნენ 9 აპრილის ტრაგედიას და მის მნიშვნელობას. უწყების წარმომადგენლები ცდილობდნენ მათი ინტერესი დაეკმაყოფილებინათ.**

**ილია მარტყოფლიშვილი**

# ესტონელები ჩვენს ტურისტულ ბიზნესს აძლიერებენ

ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თანამშრომლობით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2021-2023 წლებში ხორციელდება სოფლის ტურიზმის ობიექტების ხარისხის პროგრამა. პროექტი დაფინანსებულია **ESTDEV** - ესტონეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის ცენტრის მიერ.

პროექტის მიმდინარეობასა და უკვე მიღწეულ შედეგებზე იყო საუბარი ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის (ERTO) ხელმძღვანელი პირების: რაილი მენგელის, სილია ლეჰტპუუს, კატრინ პაპის, ელინ პრიქსის და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ქალბატონ მაია ომიაძის შეხვედრაზე.

ხარისხის პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესებული სერვისების მომხმარებლისთვის შესათავაზებლად აპრილის პირველ კვირაში დედოფლისწყაროს სასტუმრო „ავტოგრაფში“ ჩატარდა ტრენინგების მორიგი ციკლი დედოფლისწყაროს ტურიზმის ბიზნესების წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა საინტერესო თემაზე.

ევროპელი ვიზიტორებისთვის მნიშვნელოვანია ტურისტული სერვისების მიღება ინოვაციური / ეკოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენებით. სწორედ ამ თემას ეხებოდა კომპანიის „ჰელიოს-ენერგია“ ხელმძღვანელის - თორნიკე დარჯანიას ტრენინგი: მზის ენერგეტიკის პოტენციალი საქართველოსა და დედოფლისწყაროში, მზის ელექტროსადგურების მუშაობის ეკონომიკური სარგებლიანობა, ელექტრომობილების ინდუსტრია და რეგიონებში მისი გამოყენების შესაძლებლობები, ენერგოეფექტური მშენებლობის პრინციპები, მზის გამოყენებით წყლის გამაცხელებელი სისტემები, ტურისტული სერვისის თვითღირებულების შემცირების გზები, გათბობა ელ-ენერგიით: თბური ტუმბოები და მათი მართვის სისტემები. ბატონმა თორნიკემ ასევე უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს ამ თემებზე.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას სტუმრობდა ქალბატონი ელინ პრიქსი, ტურისტული პროდუქტების შექმნის და ონლაინ მარკეტინგის სპეციალისტი. მან ისაუბრა თანამედროვე ტურისტული პროდუქტების შექმნის თავისებურებებსა და შექმნილი სერვისების / პროდუქტების ინტერნეტით გაყიდვაზე.





თანამედროვე ტურიზმი უფრო და უფრო გამჭვირვალე ხდება სოციალური მედიისა და ვებსაიტების მიმოხილვის მეშვეობით. ამჟამად ეს არის სტუმრის ინდივიდუალური გამოცდილება, რომელიც ეხმარება ან ხელს უშლის ტურისტული პროდუქტის წარმატებას. ამრიგად, ტურიზმში აქცენტი გადადის უბრალო მარკეტინგული კომუნიკაციებიდან მნიშვნელოვან გამოცდილებაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა, როგორ მოვძებნოთ კლიენტები ჩვენი სერვისებისთვის. რა არის ჩვენი უნიკალური გაყიდვის წერტილი და როგორ გამოვკვეთოთ ის, როგორ შევთავაზოთ მომხმარებელს ჩვენი სერვისის უნიკალური ღირებულება, როგორ წარვადგინოთ საკუთარი თავი და ბიზნესი ისე, რომ დაგვიმახსოვრონ. სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა ესტონელმა ექსპერტმა.

სოციალური მედიის პლატფორმებსა და **Google MyBusiness** - ზე ონლაინ-მარკეტინგზე საუბრისას ქალბატონმა ელინმა მიმოიხილა სოციალური ქსელების მომხმარებელთა საქართველოს სტატისტიკა და ყურადღება გაამახვილა ამ მონაცემების გამოყენებით სწორი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებაზე. დაინტერესებული ადგილობრივი მეწარმეებისთვის ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტაციებიც.

ხელნაკეთი ნივთების და სუვენირების ადგილობრივი მწარმოებლებისთვის საინტერესო იყო ტურიზმის ასოციაციაში გამართული ტრენინგი ხელნაკეთი ნივთების და სუვენირების, როგორც კულტურული ტურიზმის სერვისის, ვიზიტორებისთვის შეთავაზების თემაზე, სადაც ესტონელმა მეწარმეებმა თავისი გამოცდილება გაუზიარეს ადგილობრივ მეწარმეებს.

აქვე მოწყობილი იყო ადგილობრივ მეწარმეთა ნივთების მცირე გამოფენა.

შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე: დამთვალიერებლებისთვის ხელნაკეთი ნივთების და სხვა სუვენირების მიმზიდველი შეთავაზებების შექმნისთვის დედოფლისწყაროს ტურიზმის სექტორისა და მომსახურების მიმწოდებლების პოტენციალი სოფლის ტურიზმის ობიექტების ხარისხის პროგრამის ფარგლებში გრძელდება ადგილობრივი ტურისტული სერვისების თვითშეფასების პროცესი. უკვე შედგენილია წარმატებულ მეწარმეთა ესტონეთში სასწავლო ვიზიტის პროგრამა. 20 აპრილამდე დაზუსტდება სასწავლო ვიზიტის მონაწილეთა სია.

**მანანა ყატაშვილი**
დედოფლისწყაროს ტურიზმის
განვითარების ასოციაციის
თავმჯდომარე

# ფულის კვირეული დედოფლისწყაროში

**„გლობალური ფულის კვირეულს“ საქართველოს ეროვნული ბანკი წელს მეცხრედ შეუერთდა - დევიზით: „დაგეგმე შენი ფული, შექმენი შენი მომავალი“. ღონისძიებები დედოფლისწყაროს რამდენიმე სკოლაშიც გაიმართა. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების დესპანი ნინო მეხრიშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, დედოფლისწყაროდან დიდი ინტერესი წამოვიდა.**

**ნინო მეხრიშვილი:** „გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ეს შეხვედრები პირველად ჩატარდა დედოფლისწყაროს სკოლებში, კერძოდ №2 და № 1- ლ საჯარო სკოლებში და გამარჯვების სკოლაში გვქონდა ლექცია. შეხვედრები შედგა იმ სკოლებში, რომელთა მასწავლებლებიც დარეგისტრირდნენ წინასწარ გამოცხადებულ შეხვედრათა განრიგზე. სხვა წლებში, კერძოდ, 2019-2020, და 2022 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა ასეთივე მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიებები - როგორც „მსოფლიო დაზოგვის დღე“ და მასში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგ ნონა ტოკლიკიშვილთან ერთად და საპატრიარქოს სკოლის მოსწავლეები პედაგოგ მზია ბაშარულთან ერთად. შეხვედრები ძალიან საინტერესოდ წარიმართა.



მოზარდებში ფინანსური განათლებისადმი ინტერესი საკმაოდ მაღალია და უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში ჩატარებულ შეხვედრებს უკვალოდ არ ჩაუვლია, განსაკუთრებით მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეებზე ვამახვილებ ყურადღებას, რადგან მათთან მსოფლიო დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სამჯერ ჩავატარეთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. საკმაოდ მაღალია მათი ინფორმირებულობა, ანუ ახლანდელ ლექციებს საკმაოდ მომზადებულები შეხვდნენ, მეტიც, რამდენიმე მოსწავლე ამ კვირეულის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებშიც მონაწილეობდა და ორი მათგანი გამარჯვებულიც გახდა. ვიდეოების კონკურსში მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე **სალომე ჩხაიძე** და პოსტერების კონკურსში პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე **ნია ფეიქრიშვილი** გახდნენ გამარჯვებულები კატეგორიაში - „მომხმარებლების რჩეული“ და მათ ფულადი პრიზებიც გადაეცემათ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე კონკურსს მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ 20 გამარჯვებული ჰყავდა და აქედან 2 დედოფლისწყაროდანაა, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი შედეგია. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვირეულზე დარეგისტრირებულ პედაგოგებს: ნონა ტოკლიკიშვილს და მარინა შანშიაშვილს - №2 საჯარო სკოლიდან, ქეთევან ყაჭაშვილს- №1 საჯარო სკოლიდან და მარიკა გონაშვილსა და ციალა ბოსტოღანაშვილს გამარჯვების საჯარო სკოლიდან და ამავე სკოლის დირექტორს ნინო სულიაშვილს, რომლის აქტიური მონდომებით დამატებით დარეგისტრირდნენ, რადგან ძალიან მაღალი აქტიურობის გამო, შეიზღუდა ჩასატარებელ აქტივობათა რაოდენობა. კვირეულში დაგეგმილი ლექციები 3 კვირის მანძილზე გაგრძელდა.

მე ვარ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების - „ფინედუს“ დესპანი და ამავდროულად დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფინანსური განათლების წრის ხელმძღვანელი. მოსწავლეებთან აღნიშნული აქტივობების ჩატარება პრიორიტეტულია ჩვენთვის. შეხვედრების დროს მოსწავლეებს ვურიგებთ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების დეპარტამენტის მიერ გამოცემულ საგანმანათლებლო ბროშურებს და სახალისო ფინანსური კომიქსების კრებულებს, სადაც მათთვის მარტივად და საინტერესოდ არის გადმოცემული სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ინფორმაციას ისინი ყურადღებით ეცნობიან, რასაც მომდევნო შეხვედრებში კიდეც ვიღებთ უკუკავშირით. საკმაოდ კარგად პასუხობენ დასმულ შეკითხვებს და და ზოგჯერ ჰიპერაქტიურადაც. რაც შეეხება დედოფლისწყაროში შეხვედრების გამართვას, ყოველთვის ვცდილობ, როცა არის აქტიურობა ჩვენი რაიონიდან, პირველ რიგში აქ შევხვდე მსმენელებს, თუმცა მოწვევის შემთხვევაში სხვაგანაც ვატარებთ და ასევე გვაქვს ონლაინ ლექციები.

2019 წელს გავიარე ტრენინგი საქართველოს ეროვნულ ბანკში „სკოლა-ბანკის“ პროექტზე და და აქედან დაიწყო ჩემი მჭიდრო ურთიერთობა ფინანსური განათლების დეპარტამენტთან, ვარ ფინანსური განათლების ტრენერი და მათი რეკომენდაციებით მიწვევენ სხვადასხვა პროექტებში. მაგალითად 2022 წლის სექტემბერში მიწვეული ვიყავი ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ჯეოლაბის“ მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ონლაინ სკოლა-ბანაკში, სადაც წავიკითხე ლექციები ფინანსური წიგნიერების და ფინანსური უსაფრთხოების შესახებ“.

ილია მარტყოფლიშვილი

# საპატრიარქოს სკოლის მორიგი წარმატება

***3 აპრილს გაიმართა კახეთის რეგიონალური ტური „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სხვადასხვა სკოლები. ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდმა „გორგასალი“ წარმატებით იასპარეზა, პირველი ადგილი დაიკავა და შემდეგ ტურში +1 ქულით გადავიდა. შემდეგ უკვე გუნდი სამების საკათედრო ტაძარში გაემგზავრა.***

სკოლა-ინტერნატის გუნდ „გორგასალის“ მოსწავლეებმა, მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებული უფროსასაკობრივი ჯგუფის რეგიონულ ტურში, „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“. ძველი და ახალი აღთქმის კითხვების მიხედვით ჩვენმა ჯგუფმა მოიპოვა პირველი ადგილი, 26 ქულა და პლუს ერთი ქულით გადავიდა მეორე ტურში. მონაწილეები: **გიორგი ალულიშვილი, მარიამ იაკობიშვილი, თებრონია ლომსაძე,** გუნდის კაპიტანი: **ლალიანა უთრუთაშვილი.** მონაწილეებს გალობითა და ხალხური სიმღერით ამხნევებდა სკოლის მგალობელთა გუნდი: **იოვანე შიუკაშვილი, თომა ლომსაძე, დარეჯან ნასრაშვილი** და **ნინო ალულიშვილი.**

როგორც საპატრიარქოს სკოლაში „შირაქს“ განუცხადეს, ჯერ უცნობია, როდის და სად გაიმართება შემდეგი ტური.

**დარეჯან ნასრაშვილი:** „მონაწილეობა ძალიან ემოციური იყო როგორც მონაწილეებისთვის, ისე მხარდამჭერებისთვის. ასევე, მინდა გამოვყო ჩვენი ხელმძღვანელის ნელი აფციაურის დაუღალავი შრომა, რაშიც მან დიდი ენერგია ჩადო. პირველი ტური უმაღლესი ქულებით გავიარეთ, ახლა მოუთმენლად ველოდებით მეორე ტურს და დიდი იმედი გვაქვს, ჩვენს სკოლას კიდევ ერთხელ ვასახელებთ. სხვა გუნდებისგან განსხვავებით ჩვენი გუნდი უფრო მოწესრიგებული და ძლიერი იყო, რაც ქულებზეც აისახა. თითო კითხვას თითო ქულა მოჰქონდა ჩვენთვის და ასე მოვახერხეთ წარმატების მიღწევა. პირველი ეტაპის კითხვები შედგებოდა ძველი და ახალი აღთქმიდან და იყო 14 კითხვა, მეორე ეტაპიც ანალოგიური. ბოლოს გაიმართა კაპიტნების ბლიცი, რომელიც 7 კითხვისგან შედიოდა. როგორც გაირკვა, ჩვენმა კაპიტანმა ლალიანა უთრუთაშვილმა უმაღლესი ქულა აიღო.“

ილია მარტყოფლიშვილი



# რა თქვა ილია II-მ დედოფლისწყაროში სტუმრობისას?

***1989 წლის 8-9 ივლისს წითელწყაროს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი სტუმრობდა. ილია მეორე თავდაპირველად სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის მუზეუმს ეწვია და გამოფენა დაათვალიერა. როგორც „შირაქის“ რედაქციაში დაცული ძველი მასალებიდან ირკვევა, პატრიარქს დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრისთვის წმინდა ილია მართლის სახელი შეურჩევია, თუმცა საბოლოოდ ის ღვთისმშობლის მიძინების სახელზე ამოქმედდა, სამრეკლოს ტაძარს კი ელია წინასწარმეტყველის სახელი უნდა დარქმეოდა, თუმცა ისიც ისევ სერაფიმეს სახელობისაა.***

„მადლობელი ვარ, რომ ვიმყოფები ამ წმინდა ადგილას, სადაც ცხოვრობდა ჩვენი დიდი წინაპარი ნიკო ფიროსმანაშვილი. შესანიშნავი, მსოფლიო დონის მუზეუმია შექმნილი, ვფიქრობ, მომავალში მუზეუმი უფრო გამდიდრდება. მინდა დაგლოცოთ ყველანი“.

მირზაანიდან პატრიარქი ოზაანის ამაღლებაში გაემგზავრა, რომელსაც უდიდესი შეფასება მისცა და მოსახლეობას აღუთქვა, რომ ცოტა ხანში ის მოქმედ ეკლესიად გადაიქცევა. შემდეგ ილია მეორე ქალაქ წითელწყაროს ესტუმრა. ქალაქის ცენტრში, კურიშკოს ძეგლის სკვერთან კვერთხი დაჰკრა და ბრძანა, რომ აქ აშენდება წმინდა ილია მართლის ქართული ეკლესია. მოინახულა სამლოცველო სახლი, შესრულდა გალობა. შემდეგ ფეხით ავიდა ელიის მთის წვერზე, სადაც წირვა ჩატარდა.


არხილოსკალო

შემდეგ სოფელ ჯაფარიძეში სერაფიმეს სახელობის ეკლესიას ესტუმრა, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის წინ აქაურები სხვადასხვა დანიშნულებისთვის იყენებდნენ. შებღალულია ტაძრის კედლები, მონგრეულია გუმბათი. ილია მეორემ იხმო საპატრიარქოს არქიტექტორი ნუგზარ იაკობიშვილი და დააყენა საკითხი ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციის შესახებ. რადგან ეს ეკლესია მდებარეობს ელიას მთის მახლობლად და საერთოდ ამ ადგილებს იცავს და მფარველობს ელია წინასწარმეტყველი, გადაწყდა, რომ ჯაფარიძის ეკლესიას ამიერიდან ეწოდოს წმინდა ელია წინასწარმეტყველის სახელი.

**ილია მეორე: „მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები ამ წმინდა ადგილზე, ამ შესანიშნავ სოფელში, გესაუბრებით თქვენ. როგორც გადმომცეს, ეს ტაძარი იყო აშენებული წმინდა სერაფიმე საროველის სახელზე. სერაფიმე საროველი სათაყვანებელია იმითაც, რომ მას აქვს წინასწარმეტყველება საქართველოზე. იგი ამბობს „რადგან საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი, ანტიქრისტე ვერ შეეხება. ე.ი. მთელ მსოფლიოს დაიპყრობს და საქართველოს ვერ შეეხებაო.“ ჰოდა აი, დღეს აქა ვართ. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ დღეშია ტაძარი. თავის დროზე დიდებული ტაძარი ყოფილა, მაგრამ ჩამონგრეულა გუმბათი. დარწმუნებული ვარ, ღვთის მადლით, თქვენი ლოცვა-კურთხევით, შეწევნითა და შრომით, შევძლებთ და აღვადგენთ ტაძარს, დავუბრუნებთ პირვანდელ დიდებას, მშვენიერებას და ეს იქნება თქვენი სახელიც. მინდა მოგიწოდოთ თქვენ და მოგცეთ ლოცვა-კურთხევა, უშუალო მონაწილეობა მიიღოთ ამ შრომაში. თუ ვინმეს აქვს ოჯახებში ძველი ფოტოსურათები, ტაძრის დანგრევამდე გადაღებული, ჩვენამდე მოიტანოთ. გვინდა, შევხედოთ, როგორი იყო გუმბათი, როგორ გამოიყურებოდა, რათა იმის მიხედვით დაპროექტდეს. არქიტექტორები იმუშავებენ აღდგენაზე. ვიცი, რომ ეს არის დიდებული სოფელი სულიერად და მატერიალურადაც. გვინდა, რომ ვინც არის მოუნათლავი, დღეს, ახლა მოხდეს ნათლობა და ამაში მეც მივიღებ მონაწილეობას. მარტო მონათვლა არ კმარა, ქრისტიანულად უნდა ვიცხოვროთ. აუცილებელია იყოლიოთ მრავალი შვილი. როგორც ილია ამბობს - დაცვა ენის, მამულის, სარწმუნოების. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!... ამინ!“**


ელია


ზემო ქედი

იქვე ჯვარი დაიწერეს ახლადშეუღლებულებმა ლევან ალავერდაშვილმა და ირმა ლაკოშვილმა. პატრიარქმა მათ სამახსოვროდ გადასცა საპატრიარქოს ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ და საკუთარი ფოტოსურათი მისი წარწერით. სერაფიმეს ეკლესიის ეზოში ჩატარდა ნათლობაც.

მეორე დღეს, 9 ივლისს პატრიარქი ზემო ქედს ესტუმრა. ზღვა ხალხი მოაწყდა კულტურის სახლის ეზოს. შეხვედრა გახსნა წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა დავით სავანელმა, სიტყვით გამოვიდა ცნობილი მწერალი, მინისტრთა საბჭოში რელიგიურ საქმეთა წარმომადგენელი ილია რურუა, ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე არსენ კობაიძე. ინგილო კაცმა იბრაგიმ მამედოვმა პატრიარქის ლოცვა კურთხევით აღიდგინა თავისი მამა-პაპური გვარი მამულაშვილი.

**ილია მეორის სიტყვა ზემო ქედში: „ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარსულით, წინაპრებით, ხშირად მივტირით, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ რა წვლილს შევიტანთ, რას გავაკეთებთ ერისთვის. ხედავთ, რომ ჩვენს მეზობლებს ჰყავთ 10-15 შვილი, ქართულ ოჯახებს კი ნაკლები. ამიტომ უპირველეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ გამრავლებაზე. ძალიან მახარებს რომ აქ ამდენ ბავშვს ვხედავ, ღმერთმა დაგლოცოთ. როცა მომავალზე ვფიქრობთ, აუცილებელია ერთიანობა. გავიდა ბოლო 70 წელი, სულ გათიშული ვიყავით. შვიდი ათეული წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ საქართველოს პატრიარქი, რაიკომის მდივანი, ალმასკომის თავმჯდომარე ერთად ყოფილიყვნენ, ერთად ემსჯელათ იმ პრობლემებზე, რაც დღეს დგას. ეს ხომ ჩვენი საერთო სატკივარია. აქამდე მხოლოდ ვფიქრობდით და ვლოცულობდით, ბევრი მოგვეყვანა, ბევრი მოგვეხნა, ბევრი აგვეშენებინა. მაგრამ ხომ უნდა ვიფიქროთ ვინ დაეპატრონება ამას? თუ ადამიანი სარწმუნოებას დაკარგავს, ყველაფერი იკარგება. ძველ დროს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა ცოლი და ქმარი შორდებოდა. ახლა სტატისტიკა გვეუბნება, რომ ყოველი მესამე ოჯახი ირღვევა, უბედურდებიან ბავშვები. მივედით იქამდე, რომ დაიკარგა სიყვარული, ადამიანს შვილის ყოლა აღარ უნდა. ღმერთმა დაგლოცოთ და სიკეთის ქმნა შეგაძლებინოთ!“...**

აქედან გაემართნენ სამთაწყაროსკენ, სადაც ხალხს შეხვდა და აკურთხა ის ადგილი, სადაც ჩამოსახლებული აჭარლებისთვის და ადგილობრივებისთვის ქართული, ქრისტიანული ეკლესია აიგება. სამთაწყაროდან უკან, არხილოსკალოში გზად მომავალმა ასწლოვანი ჩინარის ხე, ადგილობრივების ყველაზე საყვარელი ადგილი აკურთხა. უამრავი ხალხი შეეგება პატრიარქს არხილოსკალოში, სადაც აღმართულია სამმეტრიანი ჯვარი. სწორედ ამ ადგილას აშენდება ეკლესია, რომელიც ზარების მონოტონური რეკვით ეროვნულ გრძნობებს გაუღვივებს ალაზანსგაღმა ინგილო ქართველებს. აქ ხარების ეკლესია აიგება. ჩატარდა ნათლობა, რწმენას ეზიარნენ აჭარლები.

# ოქროს მედლები კიკბოქსინგში



6 აპრილს ქ თბილისში, საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციასთან არსებული სპორტული კლუბი „რინგსაიდ ინსტისტუტი“ მასპინძლობდა ტურნირს კიკბოქსინგში, სადაც დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“ მონაწილეობდა. შეჯიბრის მიზანი იყო სპორტსმენთა ტექნიკური დონის ამაღლება და საუკეთესო კიკბოქსინგელის გამოვლენა სხვადასხვა წონით კატეგორიაში.

დედოფლისწყაროს სპორტული გუნდი „ჩემპიონის“ კიკბოქსინგელებმა (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი) შეჯიბრზე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვეს.

სოსო ჯავახიშვილი (51კგ)
გიორგი ჯამასპიშვილი (54კგ)
გიორგი ბაღდასარიანი (57კგ);
ლუკა თეთვაძე (60კგ);
ბექა ნაროზაული (63,5კგ)
მიხეილ ბაღდასარიანი (67კგ)
ლუკა მეხრიშვილი (75კგ)

როგორც გუნდის მწვრთნელი **თამაზ ყარაგვეზაშვილი** „შირაქს“ ეუბნება, კიკბოქსიგელებს წინ საპასუხიმგებლო შეჯიბრებები ელით და იმედი აქვს რაიონს კვლავაც ასახელებენ.

**ლუკა თეთვაძე:** „თბილისელი მეტოქე შემხვდა, საკმაოდ კარგი და გამოცდილი სპორტსმენი იყო. დასაწყისში ორი რაუნდი მოვუგე, მაგრამ მესამე რაუნდში უპირატესობა მას ჰქონდა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი მოვიპოვე“.

**გიორგი ჯამასპიშვილი:** „ძლიერი მეტოქე შემხვდა დედაქალაქიდან და საკმაო წინააღმდეგობას მიწევდა. პირველი რაუნდი წავაგე, მაგრამ შემდეგი ორი რაუნდი ჩემს სასარგებლოდ დასრულდა და საბოლოო ჯამში გამარჯვება მოვიპოვე. ბევრნაირ სპორტზე ვიარე, ჭიდაობაზე, ფეხბურთზე, მაგრამ კიკბოქსინგმა უფრო მეტად მომხიბლა. მშობლებმაც მირჩიეს, სადაც მოგწონს, იქ იარეო. ჩხუბი მიყვარს და აქ უფრო კომფორტულად ვარ. უკვე 5 წელია კიკბოქსინგზე ვვარჯიშობ. 2 თასი და ორიც ოქროს მედალი მაქვს მოპოვებული, ერთი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო. მინდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდე. თავს არ ვზოგავ, ყოველ დილას დავრბივარ, საღამოს დარბაზშიც თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. ძალიან კეთილი და ყურადღებიანი მწვრთნელი გვყავს.“



მონატრება

## მზია სეხნიაშვილი

მზია სეხნიაშვილის ამქვეყნიური არსებობის დასასრული ელვის სისწრაფით მოედო მთელ დედოფლისწყაროს. არიან ადამიანები, რომლებიც გარდაცვალებით მხოლოდ საკუთარ ოჯახს, შვილებს აკლდებიან. ქალბატონი მზია კი დედოფლისწყაროს დააკლდა. ის მწიგნობართა ასოციაციის წევრი იყო დაარსების დღიდან და აქტიურად თანამშრომლობდა. ყველა კარგი წამოწყების თანაზიარი იყო. საოცრად კეთილშობილ ქალს უხვად ჰქონდა მომადლებული სიკეთის კეთების უნარი. ხშირად ამბობდა, მე მსიამოვნებს ადამიანების ბედნიერი სახეების დანახვა მაშინ, როცა მათ სიხარულს ვანიჭებო. ამიტომაც ცდილობდა, ბევრი ადამიანი გაეხარებინა, ქველმოქმედება გაეწია. ამაზე ხმამაღლა საუბარი არ უყვარდა. მოსწონდა, როცა მშობლიურ რაიონს დადებით კონტექსტში აჩვენებდა ყველას, ამიტომაც იყო, რომ სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითის მოწმენი არაერთხელ გამხდარან დედოფლისწყაროს სტუმრები.

ქველმოქმედება გადამდები აღმოჩნდა მისი შვილებისთვისაც. ძნელია, მზია, შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ სიკვდილი ერთადერთია, რის წინაშეც ყველა უძლურია...

სიკვდილის დამმარცხებელი მხოლოდ სიცოცხლეა, სიცოცხლე, რომელიც შენს ოჯახში კვლავ გრძელდება- მეოთხე შვილიშვილი შეგეძინა, ტიმოთე, რომელსაც ასე ელოდი.

ნათელი და სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს კეთილ სულს, ჩვენო მეგობარო! აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ ზეციურ სასუფეველში.

დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია

განათავსეთ თქვენი განცხადება გაზეთ „შირაქში“ ყველაზე ხელმისაწვდომ ფასად
**მილოცვა, სამძიმარი, გახსენება, მადლიერება, ყიდვა-გაყიდვა**
უსურათოდ – 5 ლარი, სურათით 10 ლარი.
ზედიზედ რამდენჯერმე გამოქვეყნების შემთხვევაში მიიღებთ დამატებით ფასდაკლებას.

# ბექობის არწივი დედოფლისწყაროში დაბრუნდა

***გასულ კვირას დედოფლისწყაროში, ტარიბანას ველზე, ჭაჭუნას მიმდებარედ დაბადებული ბექობის არწივი „სნო“ საქართველოში მშვიდობით დაბრუნდა. სნო ჯერ ერთი წლისაც არ არის და უკვე, ნახევარ წელზე მეტხანს იმოგზაურა შუა აღმოსავლეთში. ახლახან კი, აზერბაიჯანის გავლით, წარმატებით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და სადაც გამოიჩეკა და დაფრთიანდა, ისევ იმ სივრცეებში დანავარდობს.***



ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის“ (საბუკო) ავრცელებს. მათი ველზე პრაქტიკული მუშაობის ძირითადი არეალი სწორედ დედოფლისწყაროს ტერიტორიაა. ჭაჭუნას აღკვეთილი საქართველოს დაცულ ტერიტორიათაგან ერთ-ერთია. აქ გვხვდება იშვიათი და გადაშენების პირას მისული არაერთი სახეობა, მათ შორის – ბექობის არწივი.

„არწივის გადაადგილების მარშრუტის შესახებ დეტალური ინფორმაცია GPS გადამცემის წყალობით გვაქვს, რომელიც გასულ ზაფხულს სნოს და კიდევ ერთ მართვეს, გვეგნუს დავუმაგრეთ. სნოს საქართველოში დაბრუნება ზუსტად დაემთხვა ბექობის არწივის ბუდეების მონიტორინგის პირველ ექსპედიციას და რა თქმა უნდა, მისი მონახულება გადავწყვიტეთ. რამდენიმე საათიანი ძებნის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა სნო შეამჩნია, ახლად დაჭერილ კაჭკაჭს მიირთმევდა ერთ-ერთ ქარსაცავში. მეორე თანატოლი არწივის, სახელად გვეგნუს სიგნალი ცოტა ხნის წინ დაიკარგა და ვიმედოვნებთ, რომ გადამცემის ხარვეზია და მასაც მალე ვიხილავთ საქართველოში. ტექნოლოგიურმა განვითარებამ და ფრინველების GPS გადამცემებით აღჭურვამ, მეცნიერებს და კონსერვაციონისტებს დიდი რაოდენობით საჭირო მონაცემის შეგროვებაში შეუწყო ხელი, როგორიცაა სამიზნე სახეობების სამიგრაციო მარშრუტების, სამიგრაციო დერეფნების, საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ა.შ. 2014 წლის შემდეგ, ჩვენი გუნდის მიერ GPS გადამცემით აღჭურვილი 17 მართვედან სქესმწიფე ასაკამდე მიღწევა მხოლოდ ერთმა ინდივიდმა შეძლო, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმყოფება. ჩვენ მიერ დანიშნული ახალგაზრდა ბექობის არწივების დიდი ნაწილი ელექტროგადამცემ ბოძებზე შეჯახებით ან ბრაკონიერობის შედეგად იღუპება,“ – აღნიშნავენ „საბუკოში“.





**ნიკა ბუდაღაშვილი** ***(კონსერვაციის მენეჯერი):*** „შარშანდელი კვლევით, საქართველოში 17 წყვილი ბექობის არწივი, ეს არის მაქსიმალური რაოდენობა, რომლებსაც მივაკვლიეთ. პოპულაცია სტაბილურია, მაგრამ იმდენად ხშირია დაღუპვის შემთხვევები, რომ შესაძლოა ეს სახეობა შემცირდეს და გაქრეს. გასულ წელს ამ 17 წყვილიდან წარმატებული ბუდობა ჰქონდა მხოლოდ 6-ს და გაზარდეს 7 ბარტყი, რომლებზეც რგოლების დამაგრება შევძელით. დანარჩენ შემთხვევებში ბუდე ქარმა და წვიმამ დაანგრია. დამაგრებული მოწყობილობებით დავაკვირდებით, რომელ ქვეყნებში იმოგზაურებს სეზონურად და სად იქნება 4-5 წლის შემდეგ. თუ დაშავდება, ან დაიღუპება, ამ შემთხვევაშიც გვეცოდინება ლოკაცია.

საქართველოში ცხრა სახეობის არწივია დაფიქსირებული. 1. **გველიჭამია** (ძერაბოტი); 2. **მცირე მყივანი არწივი**; 3. **დიდი მყივანი არწივი**; 4. **ველის არწივი**; 5. **ბექობის არწივი**; 6. **მთის არწივი**; 7. **ქორისებრი არწივი**; 8. **ჩია არწივი**; 9. **თეთრკუდა ფსოვი** (თეთრკუდა არწივი). აქედან მხოლოდ სამი მათგანია საქართველოს წითელ ნუსხაში შესული: დიდი მყივანი არწივი, ბექობის არწივი და ველის არწივი. სხვათაშორის, დიდი მყივანი არწივი და ველის არწივი არ ბუდობენ საქართველოში და მხოლოდ მიგრაციის დროს გვხვდებიან. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში მობუდარი არწივებიდან, ბექობის არწივია გადაშენების პირას. ისინი გამოსაზამთრებლად აღმოსავლეთის ქვეყნებში მიდიან და ამ შემთხვევაშიც სნო იმყოფებოდა სეზონურ მოგზაურობაში. გადამცემის მონაცემების მიხედვით ის აზერბაიჯანის, ერაყის გავლით ირანში ჩავიდა და ახლა ისევ დედოფლისწყაროში დაბადების ადგილს დაუბრუნდა. გასულ წლებში დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როცა ბექობის არწივი პირიქით, ჩრდილოეთისკენ გაფრინდა, საკმაოდ დიდი მონაკვეთი მოიარა, ასტრახანის მხარეს გადაუფრინა და უკან დაბრუნდა. თავის მხრივ მკვლევარებს მათი ფრენის მარშრუტის ახსნა გვიჭირს. ახალგაზრდა ინდივიდები ძირითადად თავგადასავლების მოყვარულები არიან და შემთხვევითი პრინციპით მოგზაურობენ. შესაძლოა ასეთი გამონაკლისი შემთხვევა ყოფილიყო, როცა არწივი გაფრინდა არა თბილ ქვეყნებში, არამედ პირიქით, საპირისპირო მხარეს და ჩრდილოეთს ესტუმრა.“.

2021 წელს დედოფლისწყაროში იყო შემთხვევა, როცა ბექობის არწივი მის მიერივე აშენებულ ბუდეს 4 წლის შემდეგ დაუბრუნდა. ამ ტერიტორიაზე ბექობის არწივის ინდივიდებს მკვლევარები ყოველთვის ამჩნევდნენ, თუმცა გაშლილ ველზე დასაბუდებლად მოსახერხებელი ხე, ან ბოძი არ მოიძებნებოდა, არწივები ბუდის აშენებას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ, 2016 წელს, პირველი ხელოვნური ბუდე „საბუკომ“ სწორედ აქ დადგა.

**ილია მარტყოფლიშვილი**






# ჟურნალისტთა კლუბი პირველ სკოლაში

***დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ჟურნალისტთა კლუბი შეიქმნა. როგორც კლუბის ხელმძღვანელმა ლია ქადაგიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მასში ძირითადად მერვე კლასის მოსწავლეები გაწევრიანდნენ, რომლებიც მუშაობას უკვე შეუდგნენ.***

„ორი წელია ეს იდეა მაქვს, მათ შორის ჩვენთან უკვე მოქმედებს მკითხველთა კლუბი, სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებები გავმართეთ. მკითხველთა კლუბს ასევე ჰქონდა შეხვედრა ფსიქოლოგ ბესიკ გიგოლაშვილთან. ამის შემდეგ იყო მზაობა და ინტერესი, რომ ჟურნალისტთა კლუბი დაგვეარსებინა, რომელიც 1 წლის განმავლობაში იმოქმედებს. ამ ეტაპზე კლუბში 12 მოსწავლეა გაწევრიანებული, უკვე ჩატარდა 2 გაკვეთილი. მოამზადეს ინტერვიუები და რაკი აღდგომის დღეები დაემთხვა, ფიროსმანის ნახატების მიხედვით, აღდგომის თემაზე ნახატები შეასრულეს, რომლის გამოფენაც გვქონდა სკოლაში. ბავშვებს აქვთ დროის სწორად გადანაწილების პრობლემა, აქვთ საოცრად კრიტიკული აზროვნება, ინტერესი, მაგრამ დღევანდელ ინფორმაციულ ნაკადში უჭირთ ცრუ ინფორმაციის გარჩევა. ხშირად საუბრობენ მედიაწიგნიერებაზე, ამდენად, მნიშვნელოვანია მოზარდებმა სწორი ინფორმაციის გარჩევა შეძლონ. ვფიქრობ, ამ კლუბში მიღებული გამოცდილება ბევრად დაეხმარება მათ. კლუბი შეიქმნა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ოცნებობენ გახდნენ ჟურნალისტები, ან უბრალოდ აინტერესებთ ეს საქმიანობა. საშუალებას მივცემთ თავადაც მოამზადონ საინტერესო ვიდეო სიუჟეტი, ან გადაცემა და ბედნიერად იგრძნონ თავი ვირტუალურ სამყაროში. ეს აქტივობები დაეხმარებათ ისეთი ახალი თვისებებისა და უნარის აღმოჩენაში, როგორიცაა: კომუნიკაციის, დროის მართვის, საქმის გონივრულად გადანაწილების, ემოციის, ენერგიის მართვის, კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ვფიქრობთ, მორცხვი და გაუბედავი ბავშვები თამამი, თავდაჯერებულები და ორგანიზებულები გახდებიან. მოსწავლეებს სფეროები აქვთ არჩეული, კულტურის, სპორტის და სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. გაზეთ „შირაქის“ ხელმძღვანელობაც აქტიურ თანამშრომლობას დაგვპირდა, ვეცდებით ადგილობრივ მედიასთან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს, რაც ბავშვებისთვის მეტი სტიმული იქნება. წლის ბოლოს ვეცდებით შევაჯამოთ რა შედეგებზე გავალთ და რამდენად ნაყოფიერი იქნება მათი მუშაობა,“ – აღნიშნავს პედაგოგი ლია ქადაგიძე.

**საკლუბო მუშაობის გარდა პატარა ჟურნალისტები სხვადასხვა შეხვედრებს და გასვლით ღონისძიებებსაც გეგმავენ.**

**ილია მარტოფლიშვილი**

**ი ყ ი დ ე ბ ა !**

**იყიდება ფუტკრის ლაფეტი თავისი მოწყობილობით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე: ☎ 595 24 26 13**

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 17.04 | | სამშაბათი 18.04 | | ოთხშაბათი 19.04 | | ხუთშაბათი 20.04 | | პარასკევი 21.04 | | შაბათი 22.04 | | კვირა 23.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 11 ° | 5 ° | 13 ° | 5 ° | 13 ° | 5 ° | 13 ° | 4 ° | 13 ° | 6 ° | 17 ° | 7 ° | 17 ° | 7 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჩუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი